სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №144

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ.ბათუმი 27 ოქტომბერი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" (ს.კ 245426490; შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორი მინდია კახიძე;

შპს „მეგაფარმი" (ს.კ 245437004; შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორი ფირუზ ვაშაყმაძე,

ორთავე ერთად „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია №1 დანართში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.3. კლასიფიკატორის კოდი: 33600000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 729,99 (შვიდასოცდაცხრა ლარი და 99 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით და შპს-ს სახსრებით) მიწოდებიდან ერთიანად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, დანართი №1-ის თანახმად, მიღება-ჩაბარების და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდების დროს) არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის საქონლის მიღებას მოახდენს მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად.

5.2. შემსყიდველის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. შესყიდვის საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი გამოვლენიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №154.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ფასების ცხრილის დანართი №1-ის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში.

7. გარანტია

7.1 ფარმაცევტული პროდუქციის ვარგისიანობის ვადა განისაზღვროს მიღებული საქონლიდან არანაკლებ 12 თვე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი - აფთიაქის გამგე.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

10.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

16.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”	შპს ,, მეგაფარმი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490	საიდენტიფიკაციო კოდი: 245437004
იურიდიული მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 154	იურიდიული მის: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ., №6
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com	ელ. ფოსტა: PS-pharmaci@mail.ru
ტელეფონი: (+0422) 25 87 03;	ტელეფონი: (0422)22 12 72; 27 56 08; 577 50 88 38;
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკის“-ს ბათუმის ფილიალი	მიმღები ბანკი: ს.ს. „ვითიბი ბანკი“-ს ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის № GE92TB4457736020100006	ანგარიშის № GE02VT5500000006053602
---	---
დირექტორი	დირექტორი
მინდია კახიძე	ფირუზ ვაშაყმაძე

დანართი №1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 144

№	საქონლის დასახელება	შემოთავაზებული საქონლის დასახელება/მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	ვარგისიანობის ვადა	ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობა ან მოცულ	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	ინტრავენური-ინტრამუსკულარული	კეტზი 30მგ/1მლ. 1მლ. ამპ.	ინდოეთი	არანაკლებ 12 თვის	250	0,80	200,00
2	აცეტილსალიცილის მჟავა 300მგ.№20(კარდიო-ასპირინი)	ასპირინი კარდიო 300მგ.ტაბ	გერმანია	არანაკლებ 12 თვის	200	0,315	63,00
3	კალცი გლუკონატი 5მლ ამპ	კალცი გლუკონატი 5მლ ამპ	უკრაინა	არანაკლებ 12 თვის	20	0,45	9,00
4	პარაცეტამოლი 250მგ.სანთელი	პარა-დენკი 250მგ სანთ.	საფრანგ	არანაკლებ 12 თვის	20	0,48	9,60
5	მეტამიზოლ-ნატრიუმი,სპაზმალგონი 5მლ.	სპაზმალგონი 5მლ. ამპ.	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	100	0,74	74,00
6	მეტოკლოპრამიდი 5მგ/მლ.2მლ.	მეტოკლოპრამიდი 5მგ/მლ.2მლ.ამპ.	ბელორუ	არანაკლებ 12 თვის	295	0,30	88,50
7	გააქტივებული ნახშირი 250მგ.	გააქტივებული ნახშირი 250მგ. ტაბ.	რუსეთი	არანაკლებ 12 თვის	280	0,022	6,16
8	დექსამეტაზონი 4მგ/1მლ.	დექსამეტაზონი 4მგ/1მლ.ამპ.	უკრაინა	არანაკლებ 12 თვის	200	0,32	64,00
9	ქლორჰექსიდინ-ბიგლუკ. 100მლ	ქლორჰექსიდინ-ბიგლუკონატი 100მლ	უკრაინა	არანაკლებ 12 თვის	10	1,60	16,00
10	წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ.	წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ.	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	10	0,45	4,50
11	პანთენოლი აეროზოლი	პანთენოლი აეროზოლი 150მლ.	უკრაინა	არანაკლებ 12 თვის	3	10,31	30,93
12	რეჰიდრონი	აისოლი 20,82გ, პაკეტი	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	33	0,85	28,05
13	ნიფედიპინი (კორდაფენი) 10მგ.	ნიფედიპინი 10მგ.ტაბ.	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	250	0,04	10,00
14	ანალგინი 50% 2მლ.	ანალგინი 50% 2მლ.ამპ.	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	500	0,18	90,00
15	დიბაზოლი 1% 5მლ.	დიბაზოლი 1% 5მლ. ამპ.	უკრაინა	არანაკლებ 12 თვის	100	0,33	33,00
16	ნიშადურის სპირტი 10% 100მლ.	ნიშადურის სპირტი 10% 100მლ.	საქართვ	არანაკლებ 12 თვის	5	0,65	3,25
							729,99

შემსყიდველი
შპს " ბათუმის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი"
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490

იურიდ. მისამ: ქ.ბათუმი, პუშკინის ქ. 154
ელ. ფოსტა:batumi03@gmail.com
ტელეფონი: (+0422) 25 87 03

მიმღების ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" -ს
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. ნომერი:GE92TB4457736020100006
დირექტორი:
მინდია ბახიძე:

მიმწოდებელი
შპს "მეგაფარმი"
საიდენტიფიკაციო კოდი:245437004

იურიდ. მის: ქ.ბათუმი,ჭავჭავაძის ქ. N 6
ელ. ფოსტა:PS-pharmaci@mail.ru
ტელ: (+0422)22 12 72, 27 56 08, 577 50 88 38

მიმღ. ბანკი: ს.ს. "ვითიბი ბანკი" -ს
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: UGEBGE 22
ანგ. ნომერი:GE02VT5500000006053602
დირექტორი:
ფირუზ ვაშაყმაძე